„31“ აგვისტო 2016 წელი

N 31.08.2016-ვ4-1

ქ.თბილისის მერიის არქიტექტორის სამსახურს

მოგახსენებთ, რომ შპს „ნოვა კრედიტი“ თანახმაა განახორციელოს შპს „კაია გრუპი“-მა სარემონტო და სარეკონსტრუქციო სამუშაოები, ჩვენს მიერ იპოთეკით დატვირთულ ქონებაზე, შპს „კაია გრუპი“ ს.კ 204566585, მის ქ.თბილისი ერეკლე2 N11, ს/კ 01.18.03.045.012. ისე რომ არ მოხდეს იპოთეკის საგნის კვადრატულობის ან ღირებულების შემცირება, თქვენს მიერ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით დან N1.

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია
„ნოვა კრედიტის“ დირექტორი
მელორ ასათიანი

N75 kostava str., Tbilisi, Georgia T: +995 32 2151515, +995 32 2340940

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

85161834440116

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N161368774



რეგისტრაციის თარიღი

30.11.2016 წ

ნოტარიუსი: ლალი გზირიშვილი
მისამართი: თბილისი, გამსახურდიას გამზირი 23. ბინა 47
ტელეფონი: 236 99 99

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის დან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ორიათას თექვსმეტი წლის ოცდაათ ნოემბერს, მე, ნოტარიუს ლალი გზირიშვილს, სანოტარო ბიუროში, მისამართზე: ქ. თბილისი, გამსახურდიას გამზ. 23, ბ. 47, მომმართა ირმა ბერიანიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ იგი არის შპს „კაია გრუპ“-ის (ს/კ204566585) დირექტორი და მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ირმა ბერიანიძემ (დაბადებული 17.04.1967 წელს თბილისში რეგ. თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. VI კვ. კორპ.38 ბ.44 პირადი №01010013578) მომმართა. შემდეგ შევამოწმე ირმა ბერიანიძის უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ იგი უფლებამოსილია იმოქმედოს როგორც შპს „კაია გრუპ“-ს დირექტორმა, თანახმად შპს „კაია გრუპ“-ის წესდებისა (დამოწმებული 29.07.2016 წელს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის მიერ) და შპს „კაია გრუპ“-ის (ს/კ204566585 რეგისტრირებული 26/03/2009 იურიდიული მისამართი: თბილისი, ძველის თბილისის რ-ნი, ერეკლე II ჩიხი №11) თაობაზე გაცემული ამონაწერის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განცხადების რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B16111928, 08/08/2016 16:30:45 გაცემული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. მე შევამოწმე ირმა ბერიანიძის ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავადგინე ირმა ბერიანიძის ნების გამოვლენის ნამდვილობა რის შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე ირმა ბერიანიძეს განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან თავადაც წაიკითხა მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, ირმა ბერიანიძე (დაბადებული 17.04.1967 წელს თბილისში რეგ. თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. VI კვ. კორპ.38 ბ.44 პირადი № 01010013578) როგორც „კაია გრუპ“-ის (ს/კ204566585) დირექტორი ვენდობი თეიმურაზ გიორგობიანს (დაბადებული 16.06.1981 წელს თბილისში, რეგ რეგ თბილისი, თიანეთის ქ №9, პირადი№01023005017) მასზედ, რათა იგი მან ჩემი, როგორც შპს „კაია გრუპ“-ის დირექტორის სახელით სახელმწიფო ორგანოებთან, მათ შორის ქ. თბილისის მერიასთან დადოს ნებისმიერი სახის ხელშეკრულებები, დადოს გარიგებები/შეთანხმებები ნებისმიერი საკითხთან დაკავშირებით, დადოს შრომითი ხელშეკრულებები ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან და სხვა. ამ მიზნით თეიმურაზ გიორგობიანი უფლებამოსილია იყოს ჩემი როგორც „კაია გრუპ“-ის (ს/კ204566585)დირექტორის წარმომადგენელი ყველა სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებეთა, ქ თბილისის მერიის ნებისმიერ სამსახურებთან, საჯარო რეესტრთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში. წარადგინოს და ხელზე მიიღოს სათანადო დოკუმენტები, ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა სხვა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება ამ მინდობილობით გათვალისწინებული დავალების შესასრულებლად. მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით და ძალაშია 2017 (ორი ათას ჩვიდმეტი) წლის 30 (ოცდაათი) ნოემბრის ჩათვლით. მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცა მხარეს, ხოლო ერთი ინახება ნოტარიუს ლალი გზირიშვილის სანოტარო არქივში, და თან ერთვის დანართ 1 (ერთი) დოკუმენტი:

1. შპს „კაია გრუპ“-ის თაობაზე გაცემული ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განცხადების რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B16111928, 08/08/2016 16:30:45გაცემული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. ხოლო შპს „კაია გრუპ“-ის წესდება – გადამოწმებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ხელმისაწვდომი დოკუმენტის დასკანირებული ვერსიაში. გადახდილია სახელმწიფო ბაჟი: თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების“ შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31-ე მუხლისა 10 (ათი) ლარი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა დ.ღ.გ 18% 1 (ერთი) ლარი და 0.80 თეთრი, საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილების 39-ე მუხლის პირველი პუნქტისა 2 (ორი) ლარი, სულ 13 (ცამეტი) ლარი და 80 (ოთხმოცი) თეთრი

მიმნდობი პირი: ირმა ბერიანიძე

ნოტარიუსი ლალი გზირიშვილი